წინარე ხელშეკრულების კომპლექსური ანალიზი და მისი პრაქტიკული გამოყენება ქართული კანონმდებლობის მიხედვით

ნინო ბერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე კერძო სამარლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

თემის ხელმძღვანელი: შალვა პაპუაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ბერიძე

19/06/2020

აბსტრაქტი

წინარე ხელშეკრულება სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი საინტერესო და კანონის დონეზე ნაკლებად განმარტებული ინსტიტუტია. ის წარმოადგენს ე.წ. დამზღვევ საშუალებას ძირითადი ხელშეკრულებისთვის ისეთ სიტუაციაში, როცა მისი დადება ვერ ან არ ხორციელდება გარკვეული მიზეზებისა თუ პირობების გამო. ნაშრომში განხილული იქნება ყველა ის მნიშვნელოვანი და ძირითადი საკითხი, რომელიც უკავშირდება წინარე ხელშეკრულებას, დადების მომენტიდან, მის საფუძველზე მოთხოვნის დაყენების მომენტის ჩათვლით. ნაშრომის მიზანია, რომ დაეხმაროს მკითხველს აღნიშნული ინსტიტუტის შესახებ სწორი სამართლებრივი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, რათა არ მოხდეს შეცდომების დაშვება, მისი არასწორად ინტერპრეტირება, სხვა ინტსიტუტებთან აღრევა და ა.შ.

ვინაიდან და რადგანაც, წინარე ხელშეკრულების განმარტებასა და რეგულირებას მცირე ადგილი ეთმობა ქართულ კანონმდებლობაში, ვფიქრობ ასეთ, დროს საუკეთესო გზა მისი სამართლებრივად სწორად შეფასებისთვის სასამართლო პრეცედენტები იქნება. სწორედ ამიტომ, გარდა სამეცნიერო ლიტერატურისა ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა სხვადასხვა ქეისებსა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განმარტებებს. სწორედ, აღნიშნული პრეცედენტების მიმოხილვისას ნათელი ხდება, რომ მხარეები ხშირად უშვებენ სხვადასხვა სახის შეცდომას, წინარე ხელშეკრულების დადებისა თუ შემდგომში მის საფუძველზე სასამართლოში სხვადასხვა სახის მოთხოვნების დაყენების პროცესში. აღნიშნული შეცდომების საფუძველს ძირითადად წარმოადგენს მსგავსი ინსტიტუტებისგან გამიჯვნის პრობლემა, არასწორი მოლოდინები, სასამართლოში მოთხოვნის არასწორ საფუძველზე დაყენება და ა.შ., ამასთან, წინამდებარე ნაშრომის მიხედვით აშკარაა, რომ წინარე ხელშეკრულების გამოყენების სფეროები ფართოა და საკმაოდ გამოსადეგი სხვადასხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობების დროს. ამ მიზნებისთვის ტექსტში მოცემული იქნება, წინარე ხელშეკრულების სტრუქტურა, შინაარსი, მისი სხვა ინსტიტუტებთან შედარება და გამიჯვნა და ბევრი სხვა საინტერესო

საკითხი. დასკვნის სახით მოხდება ყველა საკითხის შეჯამება და გარკვეული რეკომენდაციების გაცემაც წინარე ხელშეკრულებისგან გამოწვეულ, ძირითად პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: წინარე ხელშეკრულება, სასამართლო პრეცედენტები, გამოყენების სფეროები

Abstract

The previous treaty is one of the most interesting and less clarified at the level of law institutions of contract law. It is a so-called insurance policy for a basic contract in a situation where its conclusion cannot or will not be made due to certain reasons or conditions. The paper will discuss all the important issues related to the previous agreement, from the moment of concluding it, including the moment of making a claim against the other party. The aim of this paper is to help the reader to form a correct legal attitude towards the mentioned institution, so as not to make mistakes during its conclusion, its misinterpretation, confusion with other institutions, etc.

Since, the definition and regulation of the previous agreement is given little place in Georgian legislation, I think the best way to do it legitimately is to set legal precedents for its legal assessment. That is why, in addition to scientific literature, the paper relies heavily on a variety of cases and explanations from Supreme Court judges. It is clear from the review of these precedents, that the parties often make various mistakes in the process of concluding a previous contract or subsequently making various claims in court based on it. The basis of these errors is mainly the problem of separation from similar institutions, incorrect expectations, setting the claim in court on the wrong basis, and so on.

However, the present paper makes it clear that the scope of application of the preceding agreement is wide and quite useful for a variety of legal relations. For these purposes, the text will provide the structure, content of the previous agreement, its comparison and separation with other institutions, and many other interesting issues. In conclusion, all issues will be summarized and some recommendations will be given regarding the main problematic issues caused by the previous agreement.

Keywords: Preliminary agreement, court precedents, areas of application